საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ილია ჭავჭავაძის მწვერვალი

ილია ჭავჭავაძის მწვერვალი, კლდოვანი მწვერვალი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მდ-ების ხდისა და არმხის (თერგის მარჯვ. შენაკადები) წყალგამყოფი.

მდებარეობს შანის ქედის სამხრ. ნაწილში. სიმაღლე 3800 მ. აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით. ახასიათებს ნივალური ლანდშაფტი. მისასვლელი გზა – ხდის ხეობიდან.

1938 მწვერვალზე ავიდა ქართვ. ალპინისტთა ჯგუფი ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

კ. ჯავრიშვილი